ანა გოგილაშვილი, მალხაზ ვახტანგაშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო
Ana.Gogilashvili@ciu.edu.ge
M.Vakhtangashvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.22

გენეტიკური ტრავმა, როგორც ბედისწერის საკრალური გამგე
(ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანის“ მიხედვით)

XIX საუკუნის უდიდესი ნორვეგიელი ავტორი, ჰენრიკ იბსენი, ერთ-ერთი გამორჩეული დრამატურგია ევროპული პიესის ისტორიაში. მას ხშირად „მოდერ-ნიზმის მამადაც“ მოიხსენიებენ. იბსენის პიესები არა მხოლოდ მის ეპოქაში, არამედ დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ისეთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკას წამოწევს, რომელიც ყველა ეპოქაში ნებისმიერი ადამიანისათვის ახლობელი და მტკივნეულია. გამორჩეული ადამიანის ხვედრი სტერეოტიპულ საზოგადოებაში, ქალის როლი ოჯახსა და სოციუმში, გენეტიკური ტრავმა, რომელიც ადამიანის ცხოვრებასა და მომავალს მისდაუნებურად განსაზღვრავს - ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც ჰენრიკ იბსენმა თავისი შემოქმედების მთავარ თემად და ამოსავალ წერტილად აქცია.

იბსენის პიესა „მოჩვენებები“, ზოგიერთ ქართულ თარგმანში „მოჩვენებანი“ - პირველად 1881 წელს დაიდგა და მაყურებელთა მყისიერი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგან პიესაში წარმოჩენილი იყო ისეთი მგრძნობიარე საკითხები და ტაბუირებული თემები, როგორიცაა განსხვავებული ადამიანების ხვედრი, ვენერიული დაავადებანი, უკანონო ქორწინება. მწერალი პიესის სიუჟეტურ ქარგას გენეტიკური ტრავმის თეორიაზე დაყრდნობით ავითარებს და მთავარი პერსონაჟის ტრაგიკულ ბედსაც ამ თეორიის მიერ დადგენილი კანონზო-მიერების მიხედვით განსაზღვრავს.

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ადამისა და ევას ცოდვა დასაბამიდან მოგვყვება და ჩვენს ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის ძალაც შესწევს. „ქრისტეანმა იცის - საიდან იღებენ საწყისს მთელი ჩვენი უბედურებანი: ავადმყოფობა, სიკვდი-ლი, ბოროტება, მტრობა, ყველა ვნება, ცოდვანი, ადამიანთა ბიწიერებანი - ყველა-ფერი დაიწყო სამოთხეში ჩვენი წინაპრების მიერ ღმრთის მცნების დარღვევით“! -წერს არქიმანდრიტი ლაზარე აბაშიძე თავის სტატიაში [1:2]. მართლმადიდებელი მქადაგებლები იმის შესახებაც საუბრობენ, რომ შესაძლოა, ერთი შეხედვით უსამართლოდ ჩანდეს წინაპრის ცოდვისათვის შთამომავლების დასჯა, მაგრამ ამქვეყნიური ყოფის კანონზომიერება ასეთია. როგორც მდიდრების ოჯახებში დაბადებული ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ყველა ამქვეყნიური სიკეთით, ხოლო ხელმოკლე ოჯახებში შობილნი განწირულნი - სიღარიბისთვის (სანამ საკუთარ ცხოვრებას თავად განკარგავენ, იმ დრომდე მაინც), ასევე ადამის მიერ ჩადენილი ქმედება ახდენს გავლენას მთელ მის შთამომავლობაზე, ანუ კაცობრიობაზე.

ფსიქოლოგიური დარგის კვლევები ამას მეცნიერულად ამყარებს და მიიჩ-ნევს, რომ წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვა, ან მისი ესა თუ ის ტრავმა გენეტიკურად გადმოგვეცემა და ჩვენს ქვეცნობიერში ბუდობს. ტრავმის თაობათაშორისი გადაცემის კვლევა ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახების შესწავლიდან იღებს სათავეს და 1967 წლიდან ანგარიშგასაწევ თეორიად ყალიბდება. დადგენილია, რომ ადამიანი იმ გენებისგან ფორმირდება, რომელიც მას წინაპართაგან გადაეცა. კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ცხოვრებისეული

ტრავმა თუ ძალადობა უკვალოდ არ ქრება და შთამომავლობის ფსიქიკასა და ჯანმრთე-ლობაზე აისახება. ცნობილმა ამერიკულმა გამოცემამ, BBC Future-მა ჩაატარა კვლევა, რომელიც მშობლების ტრავმების შვილების ხასიათსა თუ ყოფაში გამოვლინებას ეხებოდა. კვლევის შედეგები შეისწავლეს მეცნიერებმა და დაადასტურეს, რომ გენეტიკური ტრავმა ცდისპირთაგან 80%-ში გამოაშკარავდა. აღნიშნული ექსპერიმენტი საფუძვლად დაედო გენეტიკური ტრავმის ისტორიულ კონტექსტში განხილვას.

1864 წელს, როცა აშშ-ში სამოქალაქო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, კონფედერაციულ ბანაკებში ტყვეებს ძალიან რთულ პირობებში უწევდათ ყოფნა. იქ სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, გადარჩენილებს კი მიღებული ფიზიკური თუ ფსიქიკური ტრავმები მთელი ცხოვრების განმავლობაში აწუხებდათ. ყოფილი ტყვეები საზოგადოებაში შერყეული ჯანმრთელობით დაბრუნდნენ და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი არც თუ ისე სახარბიელო იყო. თუმცა სირთულეების გადალახვა მხოლოდ მათ არ უწევდათ, ამან განსაკუთრებული გავლენა იქონია ყოფილი ტყვეების შვილებსა და შვილიშვი-ლებზე. ეს გავლენა კი მათ გენეტიკურად, მამრობითი ხაზით გადაეცემოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების შთამომავლები ბანაკში პირადად არ ყოფილან, მათ შორის სიკვდილიანობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობაში. ამ ფაქტს მეცნიერები იმით ხსნიან, რომ ყოფილმა ტყვეებმა მათ მიერ მიღებული ტრავმების გარკვეული ელემენტები თავიანთ შთამომავლებს მემკვიდრეობით გადასცეს.

მეცნიერებმა ბიოლოგიურ დონეზე ახსნეს გენეტიკური ტრავმის ბუნება. მათ დაადგინეს, რომ არსებობს მოლეკულები, როლებიც დნმ-ს ჰგავს და ცნობილია, როგორც რიბონუკლეინის მჟავა (დნმ-ისგან განსხვავებით, მისი მოლეკულა ერთჯაჭვიანია). ის ცვლის გენების ფუნქციონირებას. „ბოლოდროინდელმა კვლევებმა მყარი მტკიცებულებები გამოავლინა იმის შესახებ, რომ რიბონუკლეინის მჟავას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ტრავმის მემკვიდრეობით გადაცემის მიმართულებით. ციურიხის უნივერსიტეტში თაგვებზე ჩატარებული კვლევით დადგინდა მიზეზშედეგობრივი კავშირი, რაც გამოიხატებოდა როგორც ახალშობილ წრუწუნებში, ისე ტრავმირებულ ბავშვებში ჭარბი კვებითა და ანტისოციალური ქმედებით. მეცნიერებმა ტრავმირებული თაგვების სპერმიდან ამოიღეს რიბონუკლეინის მჟავა და შეიყვანეს იმ ემბრიონებში, რომელთა მშობლები არ იყვნენ ტრავმირებული. ახლად დაბადებულმა წრუწუნებმა ბიოლოგიური მშობლებისგან აბსოლუტურად განსხვავებული, ტრავმირებული სიმპტომები აჩვენეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აქ გარკვეულ როლს რიბონუკლეინის მჟავის მოლეკულის ზომა ასრულებს. უფრო დიდი ნაწილაკი იწვევს საჭმლის მაღალ მოთხოვნილებას, ცვლის ორგანიზმის რეაქციას ინსულინზე და ზრდის რისკს. პატარა მოლეკულები კი დეპრესიისკენ მიდრეკილებას უბიძგებენ“ [3:16].

თუმცა, რიბონუკლეინის მჟავის მოლეკულები როგორ ცვლიან თაობების მოქმედებებს, ეს ჯერჯერობით უცნობია. ამ ეტაპზე ციურიხის უნივერსიტეტში ტარდება ექსპერიმენტი ადამიანებზე, რათა დადგინდეს, მოქმედებს თუ არა იგივე პრინციპი მათზე, როგორც თაგვებზე.

XX საუკუნის II ნახევრიდან გენეტიკური ტრავმის ირგვლივ დაგროვილმა ინფორმაციამ და მასალებმა თეორიად დაიწყო ფორმირება. თანამედროვეობაში ტრავმის მემკვიდრეობითობის ეპიგენეტიკური კვლევა თანდათანობით უფრო პოპულარული ხდება და ახალ სიმაღლეებს იპყრობს. იწერება სტატიები, სადისერ-ტაციო ნაშრომები,

მონოგრაფიები („კულტურული ტრავმის თეორიის კვალდა-კვალ“ - ჯეფრი ჩარლზ ალექსანდერი; „ტრავმა, რომელიც გადაჰყვება საუკუნეებს“ - მარტა ჰენრიკესი; „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“ - ამირან ბერძენი-შვილი; „ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე“ - დარეჯან ჯავახიშვილი; „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“ - შურთხია ბეროშვილი და სხვა მრავალი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალურ წრეებში გენეტიკური ტრავმისადმი ინტერესი თეორიის ფორმირებამდე ბევრად ადრე ფიქსირდება. ამის ნათელი დადასტურება კი XIX - XX საუკუნეების მიჯნის ნორვეგიელი ნობელის პრემიის ლაურეატი ავტორის, ჰენრიკ იბსენის შემოქმედებაა. ის, რომ მწერალი თავისი აზროვნებით დროს უსწრებს, არა მხოლოდ ამ ფაქტით დასტურდება. როგორვ უკვე აღვნიშნეთ, ჰენრიკ იბსენმა ისეთი მტკივნეული საკითხები წამოსწია წინა პლანზე, რომლებიც დღეს, XXI საუკუნის სამყაროშიც გვაღელვებს და კვლავ აქტუალურ პრობლემებად დგას. ასეთია, მაგალითად ქალის როლი ოჯახსა და სოციუმში, განსხვავებული ადამიანების ხვედრი საზოგადოებაში და სხვა მრავალი.

ჩვენ მიერ განსახილველი პიესა, „მოჩვენებანი“ 1881 წელს, გენეტიკური ტრავმის ჯერ კიდევ იმ დროს ჩამოუყალიბებელი თეორიის მიხედვით არის შექმნილი. ნაწარმოები მრავალმხრივაა საინტერესო. მთავარი პერსონაჟი ქალი - ელენ ალვინგი, კამერჰერ ალვინგის ქვრივი, ერთი შეხედვით ძლიერი, ღირსეული ქალია, რომელიც საყვარელი, ყველასაგან დაფასებული მეუღლის ხსოვნას გულით ატარებს და მის პატივსაცემად მატერიალურად შეჭირვებული ბავშვებისათვის სკოლის გახსნა განუზრახავს. ნაწარმოების დასაწყისში მკითხველი იხიბლება კამერჰერის სიდიადით, გულისწყვეტასაც კი განიცდის მისი გარდაცვალების გამო. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს პასტორის დიალოგი ელენთან, როდესაც იგი ოჯახის უფროსის კეთილ საქმეებს იხსენებს და მოწიწებით იგონებს გარდაცვლი-ლის სახელს. თავდაპირველად ელენის პერსონაჟი პროტესტსაც კი უჩენს მკითხველს, როდესაც რამდენჯერმე თითქოსდა ირონიით მოიხსენიებს მეუღლეს, შემდგომ კი რეალურ სურათს თანდათანობით ნათელი ეფინება. ოსვალდი, ელენისა და კამერჰერ ალვინგის ვაჟი, ახალი დაბრუნებულია სახლში ქალაქიდან, სადაც წლობით იყო საცხოვრებლად მივლენილი თავისი ოჯახის მიერ. მალევე ცხადი ხდება ისიც, რომ ელენმა ვაჟი განგებ მოაშორა სახლს, რადგან მამის გავლენისაგან დაეხსნა. იდეალური კამერჰერის ნამდვილი სახის კონტურებიც ნელ-ნელა იხატება და საბოლოოდ მკითხველს თვალწინ მონსტრი წარმოუდგება. დედისათვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდება, რომ თურმე ოსვალდს ახსოვს, ძალიან პატარას როგორ აწევინებდა მამა ჩიბუხს და შემდეგ გაწითლებული, ხველისაგან სუნთქვაშეკრული, ლამის სიკვდილის პირას მისული ბიჭის ცქერისას როგორ არაამქვეყნიურად ხარხარებდა. ამ მოგონებას უკვე ელენის მონოლოგი მოსდევს, რომელიც სრულად ჰფენს ნათელს სინამდვილეს. კამერჰერი, დალევისა და ქალთა მრავალფეროვანი პალიტრის მოყვარული კაცი, ოჯახს არაფრად აგდებ-და, ცოლის თანდასწრებით ეარშიყებოდა ლამაზ ქალებს, მეუღლეს ამცირებდა, შვილსა და ოჯახზე არ ზრუნავდა, ამ ყოველივეს დასაფარად კი ელენს არაამქვეყნი-ური ძალისხმევის გამოჩენა სჭირდებოდა. მისი მოთმინებისა და თავდაუზოგავი მცდელობის წყალობა იყო, რომ ყველა იხიბლებოდა კამერჰერ ალვინგის ოჯახითა და „დიდებული“ პერსონით.

ოსვალდის პერსონაჟის გენეტიკური ტრავმის თეორიით გაანალიზები-სათვის უდავოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დედა ყოველნაირად ცდილობდა, ბიჭი მამის უარყოფითი ზეგავლენისაგან დაეცვა, თითქოს, მოახერხა კიდევაც, მხოლოდ ბავშობის

რამდენიმე უსიამოვნო მოგონება შემორჩა ოსვალდს, საკუთარ ოჯახში მიმდინარე ამაზრზენი მოვლენების შესახებ მან თითქმის არაფერი იცოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, გენეტიკური ტრავმის მორიგ მსხვერპლად იქცა. მემკვიდრეობითი მანკიერების პირველი გამოვლინება კი მოახლე გოგოს მიმართ ძალადობა გახდა. ელენის მიერ იმის გაცნობიერება, რომ მისი მცდელობა და წლების მანძილზე განცდილი ტანჯვა ამაო აღმოჩნდა, ლახვარს სცემს მკერდში ქალს. „მოჩვენებები. ჩვენ ყველანი მოჩვენებანი ვართ. ჩვენში თავს იჩენს არა მარტო ის, რაც მემკვიდრეობითად გადმოგვეცა მშობლებისაგან; არსებობენ ძველი, დრომოჭმული ცნებები, მკვდარი რწმენები. ეს დახავსებული მოჩვენებები. საკმარისია ხელში ავიღო გაზეთი, რომ დავინახო, როგორ დაძვრებიან სტრიქონებს შორის ეს საიქიოს მოჩვენებანი და სწორედ მთელი ქვეყანა სავსეა ასეთი მოჩვენებე-ბით. მათი რიცხვი უსაზღვროა, როგორც ზღვაში ქვიშა. ჩვენ კი მხდალები და უბადრუკები ვართ, გვეშინია სინათლისა" [6:23] - აღმოხდება სასოწარკვეთილ დედას. მეორე უბედურება კი ისაა, რომ მოახლე რეგინა კამერჰერ ალვინგის უკანონო შვილია მსახურისაგან. ელენი იძულებული ხდება, ეს ყოველივე გაანდოს ვაჟს, რათა მისი ცოდვილი კავშირის აღკვეთა შეძლოს საკუთარ დასთან. შვილთან საუბრისას ცხადდება, რომ ოსვალდსაც აქვს საიდუმლო, უფრო დიდი, უფრო მტკივნეული და დაუძლეველი. დედას უყვება, როგორ იტანჯება, რომ ავადაა რაღაც განსაკუთრებული და იშვიათი სენით, არაერთ ექიმთან იყო და ბოლოს დაუდგინეს, რომ გენეტიკური დაავადება აქვს. რომ მისმა წინაპარმა რაღაც ამორალური ჩაიდინა და ბიჭი ამის გამო ისჯება. ოსვალდი ვერ ხსნის, ეს მას რატომ უნდა დამართნოდა, ვერ გაურკვევია, როგორ უნდა დააღწიოს თავი მოსალოდნელ უბედურებას. როგორც ექიმმა უთხრა, საბედისწერო შეტევა ნებისმიერ დროს შეიძლება, დაატყდეს თავს, რაც იმას გულისხმობს, რომ გონება გაეთიშება და მხოლოდ მფეთქავ სხეულად დარჩება იგი.

იბსენი დრამატულად აღგვიწერს გენეტიკური ტრავმის თეორიის აღსრულების მომნუსხველ სურათს.

„ალვინგი (საშინელებისაგან ცახცახებს). რა იყო? (შეჰკივლებს.) ოსვალდ! რა მოგივიდა! (ეცემა მის წინ მუხლებზე და ანჯღრევს) .

ოსვალდ! ოსვალდ! შემომხედე! ვერ მიცანი?

ოსვალდი (უწინდებურად ყრუდ). მზე... მზე...

ალვინგი (სასოწარკვეთილი წამოვარდება, იგლეჯს თმებს და ყვირის). ძალა არ შემწევს! ამას ვერ გადავიტან! (ჩურჩულებს ზარდაცემული, გაყინული სახით). ვერ ავიტან! ვერასოდეს, (უეცრად.) სადა აქვს ის? (ცახცახით, გაფაციცებით ეძებს მკერდზე.) აგერ! (დაიხევს რამდენიმე ნაბიჯით და კივის.) არა! არა!... დიახ!... არა! არა! (დგას ორ ნაბიჯზე, თითები საკუთარ თმებში ჩაუმალავს და შვილს ზარდაცემული მდუმარებით უცქერის). ოსვალდი (უძრავად ზის, იმეორებს ისეთივე ყრუ ხმით). მზე... მომეცი მზე“ [6:39].

სურათს კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის ის ფაქტი, რომ ოსვალდს დედისთვის პირობა აქვს ჩამორთმეული, თუკი ეს საბედისწერო წამი დადგება, ელენმა შვილის მკვლელობა ბიჭის გულზე ჩამოკიდებული საწამლავით უნდა ითავოს და უგონო მძორად არ დატოვოს დედამიწაზე. მოვლენათა განვითარების ამ შემაძრწუნებელ მომენტს, დედის მიერ შვილის მკვლელობას, იბსენი ნაწარმოების მიღმა ტოვებს და მკითხველის ფანტაზიას ანდობს.

ნაწარმოების ანალიზისას, სხვა მრავალ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემასთან ერთად, აშკარავდება გენეტიკური ტრავმის სიმწვავისა და გარდუვალობის პრინციპი. გენიოსი ნორვეგიელი ავტორი თავის პიესაში სასტიკ სურათს რამდენიმე მიზეზით შეგვაჯახებს, მათგან ყველაზე საგულისხმო კი რეალობის მნიშვნელობის გააზრებაა და

შემდგომ უკვე შესაბამისი ქცევა, რაც გულისხმობს ცხოვრების წარმართვას ისე, რომ მომავალმა თაობებმა, წინაპართა ქმედებების გამოისობით, დამანგრეველი მარცხი და დაუმსახურებელი ტრაგედია არ იგემონ.

ლიტერატურა:

1.აბაშიძე ლ. (2019) „ადამის ცოდვა“. ხარება. 1-3.
2, http://xareba.net/629-adamis-codva.html

3.ალექსანდერი ჯ. (2004) „კულტურული ტრავმის თეორიის კვალდაკვალ“. 13-30.

4. ბეროშვილი შ. (2022) „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“. გამომცემლობა „სამშობლო“. 5-682.

5. ბერძენიშვილი ა. (2019) „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“ . თსუ გამომცემლობა. 9-612.

6. იბსენი ჰ. (2019) „მოჩვენებანი“. თბილისი. 2-43.

7. ლორია კ. (2011) „რეალიზმი ჰენრიკ იბსენის დრამატურგიაში“. თსუ გამომცემლობა. 1-6.

8. ჯავახიშვილი დ. (2017) „ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე“. თბილისი. 3-295.

9. Henriques M. (2019) “Legacy of trauma be passed down the generations”. BBC Future. 1-15.

Ana Gogilashvili, Malkhaz Vakhtangashvili
Caucasus University
Tbilisi, Georgia

Genetic trauma as a savred ruler of destiny

Abstract

According to Christian studies, we have been accompanied by the sin of Adam and Eva from the very beginning, and it influences our being. Psychology strengthens all the last ones in terms of science and discusses that sin committed by an ancestor, or trauma, is genetically heired to us and settles down in our subconsciousness. Research on transferring intergenerational trauma has originated from the studies of the families that survived during the Holocaust, and it has been formed as a considerable theory.

In this report, according to the theory of genetic trauma, a versatile, exciting and problematic play belonged to the greatest 19th-century Norwegian author, regarded as “a father of modernism”, Henrik Ibsen’s “Ghosts” is analyzed precisely a tragedical fortune of the leading character, Oswald is defined by the regularity of trauma theory.